

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

11 აპრილი, 2016

საკონტაქტო ინფორმაცია: დიანა ჩაჩუა

პროგრამის ოფიცერი

Tel: +995 577 779639

E-mail: dchachua@ndi.org

NDI-ის კვლევა: მოსახლეობა უკმაყოფილოა ქვეყნის კურსით და ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკით; ევროკავშირის და ნატოს მხარდაჭერა კვლავაც მაღალია

თბილისი - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და მისი პარტნიორი ორგანიზაცია CRR-საქართველოს მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი აზრის უახლესი კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობაში ქვეყნის განვითარების კურსთან დაკავშირებით მზარდი უკმაყოფილება შეინიშნება. მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყველაფრის გათვალისწინებით, 2012 წლის შემდეგ მათი მდგომარეობა გაუარესდა (42 პროცენტი) ან არ შეცვლილა (47 პროცენტი); მხოლოდ 10 პროცენტს მიაჩნია, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა.

მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება (39 პროცენტი) ან საერთოდ არ ვითარდება (36 პროცენტი). ამასთან, უმეტესობა მიიჩნევს, რომ ხელისუფლება არ ახორციელებს მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

მოქალაქეებს განსაკუთრებით აწუხებთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკა კარგ მდგომარეობაშია. მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხები სამუშაო ადგილები (57 პროცენტი), ფასების ზრდა/ინფლაცია (35 პროცენტი) და სიღარიბე (30 პროცენტი). მართალია, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს მხარდამჭერები შედარებით უფრო დადებითად აფასებენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა მთლიანობაში მოსახლეობის უმეტესობა (81 პროცენტი) ამ პრობლემების გამო პასუხისმგებლობას ამჟამინდელ ხელისუფლებას აკისრებს, რასაც მოსდევს წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობა (59 პროცენტი) და გლობალური ეკონომიკური გამოწვევები (53 პროცენტი). პარტია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს მხარდაჭერების უმეტესობაც ეკონომიკური პრობლემების გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მოქმედი ხელისუფლების შეცდომებს ასახელებს.

გამოკითხვის თანახმად, მოქალაქეები უკეთესობას ხედავენ ჯანდაცვის სფეროში. მოსახლეობის 51 პროცენტმა განაცხადა, რომ 2012 წლის შემდეგ ამ სფეროში მდგომარეობა გაუმჯობესდა. 38 პროცენტმა კი აღნიშნა, რომ სიტუაცია ასევე გაუმჯობესდა სიტყვის თავისუფლების კუთხით.

“საქართველოს მოსახლეობა ძალიან უკმაყოფილოა ქვეყნის განვითარების კურსით, განსაკუთრებით კი ეკონომიკის მდგომარეობით. ამას გარდა, ისინი ხელისუფლებისა და პოლიტიკური ლიდერების მხრიდან შესაბამის რეაგირებას ვერ ხედავენ და ამბობენ, რომ პოლიტიკოსები არ ზრუნავენ მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. აუცილებელია, რომ საჯარო პირებმა და პოლიტიკოსებმა, განსაკუთრებით საარჩევნო წელს, მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე იზრუნონ და ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების საკითხებზე საკუთარი სტრატეგია წარუდგინონ,” - განაცხადა ლორა თორნტონმა, NDI საქართველოს ოფისის დირექტორმა.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მოსახლეობა კვლავაც მყარად უჭერს მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში. ალიანსში გაწევრიანების მომხრეთა მაჩვენებელი 68 პროცენტს შეადგენს, ევროკავშირის მომხრეთა რაოდენობა კი, გასული წლის აგვისტოს შემდეგ 61 პროცენტიდან 77 პროცენტამდე გაიზარდა. მოსახლეობის უმეტესობა (54 პროცენტი) მიიჩნევს, რომ საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციით, მაშინ როცა 27 პროცენტის აზრით, საქართველომ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების დამყარების სანაცვლოდ უარი უნდა თქვას ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ბოლო მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში.

მოსახლეობის უმრავლესობა (86 პროცენტი) კარგად არის ინფორმირებული დეკემბერში ევროკავშირის მიერ გამოცემულ პოზიტიურ შეფასებასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს მიერ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებას უკავშირდებოდა. მოქალაქეების უმრავლესობა (84 პროცენტი) მხარს უჭერს ამ გადაწყვეტილებას და სჯერა, რომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა მათთვის სასარგებლო იქნება (72 პროცენტი). მთლიანობაში, მოსახლეობის აზრით, საქართველოს საგარეო კურსი პრო-დასავლური უნდა იყოს, თუმცა უმრავლესობას საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით საკმაოდ მრავალმხრივი დამოკიდებულება აქვს: მოსახლეობის 52 პროცენტის შეფასებით, ქვეყანას პრო-დასავლური კურსი უნდა ეჭიროს, თუმცა რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. მოსახლეობის 14 პროცენტს მიაჩნია, რომ საქართველომ უბრალოდ პრო-დასავლური პოლიტიკა უნდა გაატაროს.

“შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დეკემბერში ევროკავშირის მიერ საქართველოზე გამოქვეყნებულმა დადებითმა ანგარიშმა პოზიტიური გავლენა იქონია ევროკავშირისადმი ნდობის ზრდაზე. ეს ადასტურებს, რომ ევროკავშირის მხრიდან გადმოდგმული ნაბიჯები ხელს უწყობს ქვეყანაში პრო-დასავლური კურსის გაძლიერებას. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის უმეტესობას ალტერნატივების შენარჩუნება სურს და მხარს უჭერს კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან,” - განაცხადა ლორა თორნტონმა, NDI საქართველოს ოფისის დირექტორმა.

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. კვლევის კითხვარი პარტიებთან, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავდა. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები.

გამოკითხვა 2016 წლის 23 თებერვლიდან - 14 მარტის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,900 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1,6%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: www.ndi.org

CRRC-საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, ანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.crrc.ge